

1. მემბრანულ ლიპიდებს არ მიეკუთვნება:

- ა) ფოსფოლიპიდები
- ბ) გლიკოლიპიდები
- გ) ტრიგლიცერიდები
- დ) ქოლესტეროლი

2. მექანიზმები მონაწილეობენ ინტეგრალური ცილების სტაბილიზაციაში ფოსფოლიპიდების ბიშრეში?

- ა) ვან დერ ვაალსის ძალები ფოსფოლიპიდების კუდებსა და ინტეგრალური ცილის ამინომჟავური ნაშთებს შორის
- ბ) ელექტროსტატიკური ძალები ფოსფოლიპიდების თავებსა და ინტეგრალური ცილის ამინომჟავური ნაშთებს შორის
- გ) წყალბადური ბმები ფოსფოლიპიდების კუდებსა და ინტეგრალური ცილის ამინომჟავური ნაშთებს შორის
- დ) კოვალენტური კავშირები ფოსფოლიპიდების კუდებსა და ინტეგრალური ცილის ამინომჟავური ნაშთებს შორის

3. Na^+/K^+ -ის ტუმბოს ATP-აზური აქტივობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია:

- ა) შიდაუჯრედული ატფ-ისა და Na^+ -ის იონების კონცენტრაციაზე.
- ბ) შიდაუჯრედული ატფ-ისა და K^+ -ის იონების კონცენტრაციაზე.
- გ) უჯრედგარეთა ატფ-ისა და Na^+ -ის იონების კონცენტრაციაზე.
- დ) მხოლოდ უჯრედგარეთა K^+ -ის იონების კონცენტრაციაზე.

4. წერტილოვანი მუხტის მიერ შექმნილი ელექტრული ველის ექვიპოტენციური ზედაპირი წარმოადგენს:

- ა) პარალელურ სიბრტყეებს.
- ბ) კონცენტრულ სფეროებს, რომელთა ცენტრი ემთხვევა წერტილოვანი მუხტის მდებარეობას
- გ) კონცენტრულ წრეებს, რომელთა ცენტრი ემთხვევა წერტილოვანი მუხტის მდებარეობას
- დ) არ გააჩნია

5. ჩამოთვლილთაგან იუნგის მოდულის რომელი განმარტებაა სწორი?

- ა) იუნგის მოდული რიცხობრივად იმ მექანიკური ძაბვის ტოლია, რომელიც სხეულის სიგრძეს არ შეცვლის
- ბ) იუნგის მოდული რიცხობრივად სხეულის წაგრძელების სიდიდის ტოლია.
- გ) იუნგის მოდული რიცხობრივად იმ მექანიკური ძაბვის ტოლია, რომელიც სხეულის სიგრძეს გაზრდის ორჯერ.
- დ) იუნგის მოდული რიცხობრივად იმ მექანიკური ძაბვის ტოლია, რომელიც სხეულის ზომას შეამცირებს ორჯერ.

აორტაში სისხლის ნაკადის ტურბულენტობა არ არის განპირობებული:

- ა) სისხლის მიმოქცევის მაღალი სიჩქარით.
- ბ) აორტის სიგრძით.
- გ) აორტის ფორმით.
- დ) სისხლის ჰიდროსტატიკული წნევით.